მოქმედია 01 მაისი 2025 წლიდან

ქვეკრედიტის ხელშეკრულება - ინდექსირებული

თავსართის ცვლილება

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია:

- წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი საკრედიტო პროდუქტის მსესხებლის მიერ საკუთარი სახსრებით წინასწარ სრულად ან ნაწილობრივ დაფარვისას, ასევე, მსესხებლის (გარდა ფიზიკური პირისა) მიერ კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან სრული ან ნაწილობრივი რეფინანსირებისას, რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკში აღემატება 2,000,000 (ორი მილიონი) ლარს ან ექვივალენტს სხვა ვალუტაში, რეფინანსირების საკომისიოს ოდენობა შეადგენს მაქსიმუმ 0,5%-ს, რომელიც იანგარიშება კრედიტის დარჩენილი ძირითადი თანხიდან, და ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად, ამასთან წინასწარ დაფარვის საკომისიო შეადგენს მაქსიმუმ 0,5%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვეზე მეტი ვადა, 0%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა. საკომისიოს დარიცხვის ეს წესი ვრცელდება ეროვნულ ვალუტაში გაცემული კრედიტის უცხოური ვალუტით ან/და მსესხებელის (გარდა ფიზიკური პირისა) უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტის ეროვნული ვალუტით სრულად ან ნაწილობრივ რეფინანსირების ან/და წინსწრებით დაფარვის შემთხვევებზე.
- წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი საკრედიტო პროდუქტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან სრული ან ნაწილობრივი რეფინანსირების შემთხვევაში, მსესხებელი ფიზიკური პირის, ასევე მსესხებელის (გარდა ფიზიკური პირისა) რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკში არ აღემატება 2,000,000 (ორი მილიონი) ლარს ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში, რეფინანსირების საკომისიოს ოდენობა შეადგენს თანხის წინსწრებით დაფარვის მომენტისთვის კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0,5%-ს. ეს წესი ვრცელდება ეროვნულ ვალუტაში გაცემული კრედიტის ეროვნული ვალუტითა ან/და უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტის უცხოური ვალუტით რეფინანსირების შემთხვევებზე.
- წინსწრებით დაფარვის საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილ ვადაზე დასარიცხი პროცენტის ოდენობას.

ხელშეკრულების ტექსტის ცვლილება/დამატება

ხელშეკრულების 6.3.1-6.3.3 პუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

6.3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი საკრედიტო პროდუქტის მსესხებლის მიერ საკუთარი სახსრებით წინასწარ სრულად ან ნაწილობრივ დაფარვისას, ასევე, მსესხებლის (გარდა ფიზიკური პირისა) მიერ კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან სრული ან ნაწილობრივი რეფინანსირებისას, რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკში აღემატება 2,000,000 (ორი მილიონი) ლარს ან ექვივალენტს სხვა ვალუტაში, რეფინანსირების საკომისიოს ოდენობა შეადგენს მაქსიმუმ 0,5%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვეზე მეტი ვადა. საკომისიო იანგარიშება კრედიტის დარჩენილი ძირითადი თანხიდან, და ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად. საკომისიოს დარიცხვის ეს წესი ვრცელდება ეროვნულ ვალუტაში გაცემული კრედიტის უცხოური ვალუტით ან/და მსესხებელის (გარდა ფიზიკური პირისა) უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტის ეროვნული ვალუტით სრულად ან ნაწილობრივ რეფინანსირების ან/და წინსწრებით დაფარვის შემთხვევებზე.

6.3.2 წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი საკრედიტო პროდუქტის სხვა ფინანსური

ორგანიზაციიდან სრული ან ნაწილობრივი რეფინანსირების შემთხვევაში, მსესხებელი ფიზიკური პირის, ასევე მსესხებელის (გარდა ფიზიკური პირისა) რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკში არ აღემატება 2,000,000 (ორი მილიონი) ლარს ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში, რეფინანსირების საკომისიოს ოდენობა შეადგენს თანხის წინსწრებით დაფარვის მომენტისთვის კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0,5%-ს. ეს წესი ვრცელდება ეროვნულ ვალუტაში გაცემული კრედიტის ეროვნული ვალუტითა ან/და უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტის უცხოური ვალუტით რეფინანსირების შემთხვევებზე.

6.3.3 წინსწრებით დაფარვის საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილ ვადაზე დასარიცხი პროცენტის ოდენობას. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევ(ებ)ში ბანკი არ არის უფლებამოსილი კლიენტს დაარიცხოს საკომისიო საკრედიტო პროდუქტით წინსწრებით დაფარვისთვის.